

შრომითი პირობები ობსერვატორიის სამეცნიერო თანამდებობებისათვის

მუხლი 1. ობსერვატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

1. სამუშაო მოიცავს:

ა) შესაბამისი განყოფილებაში მიმდინარე ან დაგეგმილ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში უშუალო მონაწილეობას, კვლევის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით;

ბ) სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისას აფილაცად მითითებას „საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია“/“E. Kharadze Georgian National Astrophysical Observatory“.

2. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე ორი წლის ვადით, ბრძანებით ნიშნავს ობსერვატორიის დირექტორი და დებს მასთან შესაბამის შრომით ხელშეკრულებას.
3. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგის გათვალისწინებით, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.
4. სამუშაო ადგილი არის ქ. თბილისი (მ. კოსტავას ქ. №47/57, მე-5 სართული) და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი).
5. სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად.
6. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით, ობსერვატორიის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 2. ობსერვატორიის მეცნიერი თანამშრომელი

1. სამუშაო მოიცავს:

ა) შესაბამის განყოფილებაში მიმდინარე ან დაგეგმილ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში უშუალო მონაწილეობას, კვლევის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით;

ბ) სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისას აფილაციად მითითებას „საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია“/“E. Kharadze Georgian National Astrophysical Observatory“.

2. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე ორი წლის ვადით, ბრძანებით ნიშნავს ობსერვატორიის დირექტორი და დებს მასთან შესაბამის შრომით ხელშეკრულებას.
3. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგის გათვალისწინებით, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.
4. სამუშაო ადგილი არის ქ. თბილისი (მ. კოსტავას ქ. №47/57, მე-5 სართული) და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი).
5. სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად.
6. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით, ობსერვატორიის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით.